სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/144

ქ. თბილისი

29 სექტემბერი 2021 წ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სტუ-ის მეცნიერებისა და ინოვაციების დეპარტამენტის უფროსის,პროფესორ დავით თავხელიძის სამსახურებრივი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2021 წლის 29 სექტემბრის. №01-05-02/27 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. მოწონებული იქნეს სტუ-ის მეცნიერებისა და ინოვაციების დეპარტამენტის უფროსის, პროფესორ დავით თავხელიძის მიერ წარმოდგენილი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დებულება;

2. პროექტი დასამტკიცებლად წარედგინოს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.

3. წარმომადგენლობით საბჭოზე (სენატი) საკითხის გატანა დაევალოს მეცნიერებისა და ინოვაციების დეპარტამენტის უფროსს, პროფესორ დავით თავხელიძეს.

4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**